წლიწადი მეოთხე.

საქართველო უწინარეს ყოვლისა.

# თეთრი გიორგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკუთარ ტანჯვად მე მიმაჩნია
ჩემი სამშობლოს უბედურება.

აკაკი.

პარიზი
მარტი 1929 წელი
№ 17

ქართველ პატრიოტთა ორგანო თეთრი გიორგი.
Journal de l'Organisation des Patriotes Géorgiens " THÉTHRI GUIORGUI "
Rédaction : THETHRI GUIORGUI, 11, Porte Champerret PARIS-XVIIe

Mars 1929
№ 17
PARIS

## ნამდვილი გზა.

«რკინის დისციპლინის» მქონე კომუნისტური პარტია თავის განვითარების ბუნებრივი გზით მიიმართება აუარებელ გადახრებით, მემარცხენე თუ მემარჯვენე «ოპოზიციით», «პოზიციით» და სხვა.

ასეთი დაყოფა «პოზიცია—ოპოზიციებათ» ჩვეულებრივია ხალხისათვის, რომელნიც განყენებული პროგრამებით მიდიან ცხოვრებასთან, მაგრამ მასთან შეხებისთანავე აშკარავდება მათი სიყალბე; სინამდვილე ანიავებს სადღაც არალეგალურ თუ ლეგალურ კრებებზედ შექმნილ პროგრამებს და იბადება უთანხმოება შექმნილთა შორის.

ასე ხდება კერძოდ კომუნისტურ პარტიაში, იგივე მოვლენა დამახასიათებელია ყველა ჯურის სოციალისტებისათვის. შეუძლებელია დათვლა იმ სოციალისტურ «პოზიცია—ოპოზიციებისა», რომელიც წარმოშვა ერთმა სოციალისტურმა მოძღვრებამ: მარქსიზმმა. სოციალისტების ასეთი დანაწილება ნათლად აშკარავებს მათი იდეის არარაობას, მათი წარსული მუშაობის სინამდვილიდან აცდენას, ახალი გზების მონახვის სურვილს, სინამდვილეში კი ერთ და იმავე გამოუვალ რკალში ტრიალს. ამ მოჯადოებულ წრეს ისინი ვერ გასცდებიან: — ან ცხოვრებისადმი პირდაპირი ცქერა, ან ტკბილი ზღაპრებით თავის გართობა. თუ მიიღებენ პირველს, მაშინ ხომ აღარც სოციალისტები იქნებიან? სწორეთ ამიტომ ისინი ისევ უკანასკნელს რჩებიან, ოღონდ თავისი საყვარელი მარკა «სოციალისტი» შეირჩინონ.

მაგრამ აქვს რაიმე მნიშვნელობა კომუნისტურ პარტიის პოზიცია—ოპოზიციებათ დაყოფას საქართველოს განთავისუფლების საკითხში? ჩვენ ვიცით, რომ დღესაც, როგორც აქამდე — ქართველ ერს, კვებავენ იმ იმედით, თითქოს კომუნისტური პოზიცია ოპოზიციას დაერევა და თავისუფლება ისევე ადვილად ჩაგვივარდება ხელში, როგორც 1917 წელსო.

ხალხის სულისკვეთებაზედ ასეთ სპეკულიატიურ მეთოდებით მოქმედება დანაშაულია ერის წინაშე. ამ სოციალისტურ მეთოდს ვარქმევთ სპეკულიატიურს იმიტომ რომ მისი მხმარებელნი ხალხზე მხატე ხასიათის დასაბუთებით მოქმედობენ. იოლად თავისუფლების ჩაგდების დაპირებით მათ აგრუებენ, იარაღს აყრევინებენ. მათში არაა სახელმწიფოებრივი დინჯი მზადება ამა თუ იმ მოვლენებისათვის, არამედ მხოლოდ შესაძლებლობაზედ დაყრდნობა და სწორედ ამან დაღუპა საქართველო.

ჩვენ არ უარვყოფთ, რომ საქართველო განთავისუფლდება, არა მარტო იმიტომ, რომ კომუნისტურ პარტიაში ოპოზიცია გაჩნდა, არც იმიტომ, რომ «მარქსმა ესე სთქვა» და «რამიშვილიც ამას ამბობს», არამედ იმიტომ რომ ის არსებობდა მრავალ საუკუნეთა განმავლობაში, როგორც ერი, როგორც სახელმწიფო; კოჯორ ტაბახმელაზედ იუნკრებმა თავის სისხლით დასწერეს მისი სურვილი, 19 მაისს დახვრეტილმა გმირებმა უფრო მეტად გააცხოველეს ეროვნული სურვილის კოცონი, ხოლო აგვისტოს მსხვერპლებმა ქვეყანას ამცნეს ერის სურვილი თავისუფლებისათვის.

დიაღ! ქართველი ერის განთავისუფლებას არაფერი ეღობება წინ. როგორ მივიღებთ თავისუფლებას ბრძოლით თუ უბრძოლველად? ამას მომავალი გვიჩვენებს.

ყოველ შემთხვევაში უდაოა, რომ ქართველი ერი მარად მზად უნდა იყოს ბრძოლისათვის, უნდა შეიმჭიდროვოს რიგები, დაირაზმოს, წინააღმდეგ შემთხვევაში თავისუფალ საქართველოს ისევე ადვილად დავკარგავთ, როგორც 1921 წელში. ეს ისეთი ელემენტარული მცნებაა, რომ განმარტება ზედმეტია.

მაშ აქეთ ქართველო ერო!

ი — შვილი.

## «კუდა ხარი თავისთვის არ იყო სხვას გუზებს უგერიებდა.»

მარსელის ყრილობის შემდეგ ჩვენი სოციალისტები ბრიუსელის საერთაშორისო სოციალისტურ კონგრესზედ წავრძანდნენ. ჩვენთვის ამას არავითარი მნიშვნელობა არ ექნებოდა, რომ მეწშევიკები ამ კონგრესის დადგენილებებს, საქართველოს არ ახვევდნენ თავზედ. ჩვენ არ გვაინტერესებს მათი ავადმყოფური ბოდვა საერთაშორისო სოციალიზმზედ, კაპიტალიზმზე, დიქტატურაზედ და სხვა. ჩვენთვის საჭიროა გარკვევა ერთად-ერთ საკითხში: —როგორ უყურებს ეს კონგრესი საქართველოს საკითხს და ებრძვის თუ არა ის, ჩვენი თავისუფლების დამთრგუნველ საბჭოთა რუსეთს? პასუხს ამ კონგრესის მანიფესტი იძლევა (იხ. «ბრძოლა» 35) «ინტერნაციონალი არ უარყოფს, რომ საბჭოთა კავშირის... რეჟიმი ძალით იმორჩილებს და ჩაგრავს ერებს, უკანასკნელთა სურვილის წინააღმდეგ, როგორც ეს საბჭოთა მთავრობამ აღიარა საქართველოს შესახებ, ამას წინათ გამოქვეყნებულ დოკუმენტებში», მაგრამ... «მუშათა სოციალისტურ ინტერნაციონალში გაერთიანებული პარტიები, რა თქმა უნდა მუდამ მზად არიან დაიცვან საბჭოთა რესპუბლიკა».

მაშასადამე, ინტერნაციონალი არ უარყოფს საქართველოს დაპყრობის ფაქტს, რადგან თვით რუსეთს გამოუქვეყნებია ამის დამამტკიცებელი საბუთები, მაგრამ ამავე დროს მოითხოვს, მასში შემავალ ქართველ სოციალისტურ პარტიათაგან, მუდამ მზად იყვნენ... დამპყრობელ რუსეთის დასაცავად?!.

და ჩვენი სოციალისტებიც აწერენ ხელს ამ მანიფესტს?!!. ცხადია, რომ საქართველოს ასეთ განწირვას, მისი სახელმწიფოებრივ ინტერესების აბუჩად აგდებას და მიწასთან გასწორებას, თავისი მიზანი უნდა ჰქონდეს. აი ესეც:

«მაგრამ, როგორც მთელ ქვეყნის მუშებს, ისე საბჭოთა კავშირის მუშათა კლასს, ჩვენ მოუწოდებთ შემოუერთონ თავისი ძალები ჩვენსას».

«პროლეტარიატის გათიშვა ასუსტებს მას (საბჭ. კავშ. მუშებს) პროლეტარიატის გაერთიანება კი, შემატებდა მას ახალ მამოძრავებელ ძალას და უზრუნველ ჰყოფდა მის გამარჯვებას ზავისა და სოციალურ გამარჯვებისათვის ბრძოლაში. ერთობის გზით გამარჯვებისაკენ კაპიტალიზმისა და იმპერიალიზმის აღმოსაფხვრელად.»

«ერთობის გზით ძალაუფლების დაპყრობისა და სოციალიზმისაკენ. პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით». განმარტება ზედმეტია! პროლეტარიატის გაერთიანების იდეას უნდა ემსხვერპლოს საქართველო?!!

ალბად ამ მდგომარეობამ აიძულა ჩვენი მენშევიკები, რომ ეს დადგენილებები გადაემენშევიკებიხათ ე. ი. თავისებურად თავის სასარგებლოდ განემარტათ ქართველი ხალხისათვის, ვინმე დ. შ.—ს სახელით, რომელიც ალბად კონგრესზედ ბრძანდებოდა.

ის სწერს (იხ. წერილი «ბრიუსელში») «ოფიციალურ დადგენილებებში საბოლოოდ გაწყვეტილია ის ძაფი, რომელიც ბოლშევიზანების წინადადებითა და მოთხოვნით აკავშირებდა ბოლშევიზმს დემოკრატიულ სოციალიზმთან». ეს კი პირდაპირ აბუჩად აგდებაა «ბრძოლის» მკითხველებისა საიდან მოიტანა ეს დასკვნა ავტორმა გაუგებარია, ალბად რამიშვილის კაბინეტიდან, თორე, როგორც ზემო-მოყვანილ მაგალითებიდან დავინახეთ პირიქით, ეს «ძაფი» ისეთ მსხვილ თოკათ გადაიქცა, რომ თვით ქართველი მენშევიკებიც კი იძულებულ ჰყო უკუეგდოთ თავისი ფანტასტიური წინადადება და უცხოელთა წინაშე, მსოფლიო პროლეტარიატისადმი სიყვარულის დასამტკიცებლად, ხელი მოაწერეს ამ სამარცხვინო აქტს. მაგრამ მკითხველის გაკვირვება ამით არ მთავრდება. ბ-ნი დ. შ. უფრო შორს მიდის. ის ამავე დროს არ უარყოფს, რომ კონგრესი «განსაკუთრებულ მდგომარეობას ანიჭებს საბჭოთა რესპუბლიკას, სხვა სახელმწიფოთა შორის, ის კვლავ ინტერნაციონალის მფარველობის ქვეშ აყენებს საბჭოთა რუსეთს», მაგრამ ამას «ეკარგება პრინციპიალური (?) ხასიათი», ანუგეშებს მკითხველთ, რადგან მისი აზრით «ბოლშევიზმსა და ფაშიზმს შორის თანასწორობის ნიშანია დასმული» !!!

ჩვენ დიდხანს ვეძებეთ ეს «თანასწორობის ნიშანი», მაგრამ ვერსად ვერ ვპოვეთ, გარდა იმისა, რომ «ინტერნაციონალი მთელი თავისი ძალ-ღონით ილაშქრებს ხალხის ან ერთი პირის დიქტატურის წინააღმდეგ, როგორიც არ უნდა იყოს ფორმა ამ დიქტატურისა».

ამ განცხადებას მაშინვე ეკარგება მნიშვნელობა თუ გავითვალისწინებთ, რომ არც ერთი სოციალისტური პარტია, ყრილობა თუ ინტერნაციონალი არ უარყოფენ სოციალისტურ დიქტატურას. სიტყვა დიქტატურის ქვეშ ისინი გულისხმობენ მხოლოდ არასოციალისტურ დიქტატურას. ამის ნათელი დამამტკიცებელი იქვე ჩამოთვლილი დიქტატურებია; ეს არის ინტერნაციონალის მიერ «სამარცხვინო გოძზედ გაკრული» იტალიის ფაშიზმი, რომელიც «ახალი ომის საშიშროებასა ჰქმნის» და «რომელსაც უნდა ებრძოლონ». და ბოლოს ლიტვის და პოლონეთის დიქტატურა, რომელთა მუშებსაც «მოუწოდებენ» და «მხარს უჭერენ» დიქტატურის დამხობისაკენ.

რაც შეეხება რუსეთს, რომელიც დიქტატურის მხოლოდ უსაზიზღრეს და უმახინჯეს მხარეებს ატარებს, ინტერნაციონალს «საჭიროდ მიაჩნია უთხრას მუშებს», რომ რუსეთი თავისდა უნებურად უწყობს ხელს არასოციალისტურ დიქტატურის განხორციელებას. ომის შესახებ ხომ არაფერია. პირ-იქით რუსეთი, ზავის დამცველადაა გამოყვანილი.

ინტერნაციონალი აცხადებს, რომ რუსეთის და ჩვენი ე. ი. ინტერნაციონალის გაერთიანება «უზრუნველ ჰყოფდა მის (რუსეთის) გამარჯვებას ზავისა და სოციალურ განთავისუფლებისათვის ბრძოლაში». ის ამბობს, რომ «ტექსტი კელოგის პაქტისა გაყალბებულია და კიდევ უფრო დამცირებული იქნებოდა საბჭოთა კავშირის, პაქტის გარეშე დატოვებითო». რაც შეეხება კომინტერნის მოწოდებას ომისაკენ, ის თითქის ბუნებრივად სთვლის ამას, თუმცა მშობლიური მოალერსებით შენიშნავს: «რა სიგიჟეა მუშათა აზრის და იმედების ახალ ომებისაკენ მიპყრობა-ო». მაშასადამე, ის რაც სხვა ერებს გაუმაძღრობაში, მილიტარიზმში, იმპერიალიზმში და სხვაში ჩამოერთმევათ, რუსეთს მხოლოდ ცელქობად ჩაუთვლიან, არც ბრძოლა, არც მოწოდება მუშებისა საბჭოთა კავშირის დიქტატურის დამხობისაკენ. ან როგორ გაატარებდნენ ამ აზრს, როდესაც ამ მანიფესტით მნიშვნელოვანი ნაბიჯია გადადგმული გაერთიანებისაკენ?! ეს უფრო აშკარად მოსჩანს «დამორჩილებულ ერთა» საკითხში. «მუშათა სოციალისტური ინტერნაციონალი მხარს უჭერს დამორჩილებულ ერთა ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის». მაგრამ იცით რომელ დამორჩილებულ ერთათვის? აი მათივე ჩამოთვლა: «ის მოითხოვს ჩინეთის სრულ დამოუკიდებლობას». «ის აღიარებს ინდოეთის ერთა სრულ თვით-გამორკვევის უფლებას და მხარს უჭერს ეგვიპტის სრულ დამოუკიდებლობის მოთხოვნას». «ის მოითხოვს, რომ სირიას და ირაქს დაუყოვნებლივ მიენიჭოს სრული დამოუკიდებლობა «ის მოითხოვს თვით-გამორკვევის უფლებას «ფილიპინის კუნძულებისა. კორეისა და ანამისათვის». «ის ებრძვის შეერთებულ შტატების ეკონომიურ გაბატონებას და სამხედრო ინტერვენციის პოლიტიკას ჰაიტისა, სანდომინგოს და კუბას რესპუბლიკებში». ის «მოითხოვს, რომ ბრიტანეთის იმპერიის კოლონიებს (აფრიკის და წყნარ ოკეანეს კოლონიათა გამოკლებით) საფრანგეთის იტალიის და ესპანიის კოლონიებს ჩრდილო აფრიკაში, შემდეგ «ჰოლანდიის ინდოეთს (ინდონეზია), მადაგასკარს და სხვა — დაუყოვნებლივ მიენიჭოს თვით-მართველობის ფორმა. ბევრ რამეს მოითხოვს აგრეთვე ტროპიკულ და სუბტროპიკულ აფრიკაში და წყნარ ოკეანეზე მდებარე კოლონიებისათვის, ხოლო საქართველოსათვის კი, კულტურულად, ეკონომიურად და ეროვნულად ჩამოყალიბებულ საქართველოსათვის არაფერს; მიუხედავად იმისა, რომ საქართველოზედ უფრო სამი-

ნელ პიროვებში, არც ერთი კოლონია არ იმყოფება. იმ დროს, როდესაც ქართველ სოციალისტების მიერ დაცული ერთა უმრავლესობა (რუსეთის გარდა) მხოლოდ გეოგრაფიული სახელებია, არც ერთი კრინტი არაა დამრული რუსეთის მიერ დაპყრობილ ქვეყნებზედ, თუმცა ყველა მლიერ სახელმწიფოთა კოლონიებს შეეხენ.

სად არის აზერბეიჯანი, მთა, სომხეთი, თურქესტანი და სხვა? სად არიან ერები, რომელნიც მართლა იტანჯებიან და რომელთა განთავისუფლება გაადვილებდა საქართველოს განთავისუფლებასაც? ამას უწოდებთ თქვენ საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლას?

უტიფრად სცრუობთ და დემაგოგობთ ბ-ნო რამიშვილო, როდესაც აცხადებთ (ბრძოლა —35. მოწინავე) თითქოს მეორე ინტერნაციონალს კრიუსელში «საბჭოთა დიქტატურის დამხობა საერთაშორისო მშრომელთა დღიურ ამოცანად გამოეცხადებინოს».

სად? როდის? როგორ? ფაქტები! გ-ნო რამიშვილო, ფაქტები!

ხოლო ბ-ნ დ. შ.—ს და საერთოდ მთელ მენშევიკებს, ეკუდო ხარებს, რომელთაც საქართველოსათვის ვერ მოუგერიებიათ რუსეთი და სადღაც აფრიკაში თუ წყნარ ოკეანეზედ მდებარე კოლონიებს უგერიებენ «იმპერიალისტებს», ჩვენ ვურჩევდით: თავი ანებონ ქართველი ერის «იდეურ დაკავშირებას» მეორე ინტერნაციონალთან, ვინაიდან მეორე და მესამე ინტერნაციონალი, როგორც ზემომოყვანილ ფაქტებიდანაც სჩანს, საქართველოს უმტკიცებენ რუსეთს. თავი ანებეთ საქართველოს სახელმწიფო ემბლემათა დამცირებას და გაყალბებას სხვა ერთა თვალში.

ის სახელმწიფონი, რომელთა წინააღმდეგ თქვენ მიდიხართ, არსებობენ, აქვთ ძალა მატერიალური და მორალური, მათ უმთავრეს დასაყრდნობ ფუძეს წარმოადგენს სიყვარული სამშობლოსადმი და ამიტომ გულწრფელად შეუძლიათ გაიზიარონ ჩვენი ქვეყნის ვარამი. თქვენ კი, თქვენი საქციელით, თანაგრძნობას საქართველოსადმი, სიმულვილად აქცევთ და, ამით ქართველი ერის ინტერესებს სთელავთ.

ეს ის სახელმწიფოებია, რომელთაც სოციალისტი გ. ნოზაძე (დამ. საქარ. —35) საბჭ. რუსეთის საზღვრების გარედ მყოფ საქართველოს მოკავშირეთა შორის, პირველ ადგილს აკუთვნებს. დაუშვათ, რომ მათ წინააღმდეგ გალაშქრება თქვენ შეგიძლიათ როგორც პიროვნებას, როგორც პარტიას, მაგრამ არა როგორც ქართველ ერს, ან მის წარმომადგენელს სამსახურის დროს, ვინ მოგცათ თქვენ ამის უფლება?

ქართველ ერს ერს მყოფ «იდეური კავშირი» ყოველგვარ ინტერნაციონალთან, მან საკმაოდ იგემა ამ «კავშირების» ნაყოფი და ძალით ვეღარ გაუხსნით პირს.

ჩვენ მოვითხოვთ საქართველოს განთავისუფლების საკითხის და მაშასადამე საბჭოთა რუსეთთან ბრძოლის საკითხების გარკვევით და მარტივად დასმას: იბრძვიან თუ არა გ-ნი სოციალისტები საქართველოს მტრის-რუსეთის წინააღმდეგ? —თუ ჰო?—რას ნიშნავს ასეთ რეზოლიუციაზედ ხელის-მოწერა? —თუ არა? ანებეთ თავი თქვენ აბდა-უბდას და ყვავილას გასაგონად განაცხადეთ, თქვენ მიერ ხელის აღება ბრძოლაზედ.

მებრძოლ საქართველოს, იმ საქართველოს, რომელსაც თქვენ მიერ თქვენ «მფარველობაში ჩაყენებული» რუსეთი სისხლში აღრჩობს და მიწასთან გასწორებას უპირებს, არ სჭირია ასეთი ცურჭოფობა. დღეს მის წინაშე სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია წამოჭრილი: ან მასთან ან მის მტრებთან. შუაში დგომა სამშობლოს ღალატია.

დოლიძე.

წ. შ. ეს წერილი უკვე დაწერილი მქონდა, როდესაც წავიკითხე გ-ნ ყორყოლიანის წიგნაკი: «სოციალისტურ ინტერნაციონალის მძიმე შეცდომები» ფრანგულ ენაზედ, სადაც ავტორი აღშფოთებულია მეორე ინტერნაციონალის მიერ საქართველოს წინააღმდეგ რეზოლიუციის გამოტანით და მენშევიკების წარმომადგენლით კაკი წერეთლით, რომელმაც კრინტიც არ დასძრა ამის საწინააღმდეგო.

ჩვენ ამ წიგნაკის კრიტიკას არ შევუდგებით, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ქართველი ხალხის თვალის ასახვევად მენშევიკები გამარჯვების საყვირს სცემენ ქართულ ენაზედ, ხოლო ფრანგულ ენაზედ კი მოსთქვამენ? — ნუ თუ ამ დალოცვილებმა მშობლიურ ენაზედ ტირილიც კი დაივიწყეს? განა ქართულად არ არსებობენ სიტყვები დანაზულ შეცდომების ასაღიარებლად?

დ.

---

## ჩვენ ვამბობთ...

«თეთრი გიორგი გამომხატველია ინტეგრალურ ნაციონალიზმის» (თეთრი გიორგი-ს პირველი ყრილობის რეზოლიუცია, მუხლი—4)

ჩვენ ვამბობთ: საქართველოში უნდა აღსდგეს ნაციონალიზმი თავის ინტეგრალურ ფორმებში, როგორც ერთად-ერთი გზა პროგრესისა და თავისუფლების. ნაციონალიზმი უნდა დამყარდეს თავის ბუნებრივ ნიადაგზე. ეს ბუნებრივი ნიადაგი არის საქართველოს სახელმწიფოს ისტორიული საფუძველი. ეს ნიადაგი შერყვნილი რუსების მიერ, უნდა განსპეტაკდეს. განიკურნოს, განმტკიცდეს მთელი თავისი ქართული შინაარსით და ხასიათით. ქართველი ხალხი უნდა დაადგეს ინტეგრალურ ნაციონალიზმის გზას და განთავისუფლდეს უპირველესად ყოვლისა სულიერად და ზნეობრივად რუსულ გავლენისაგან.

ჩვენი განთავისუფლების მოპოვება, მხოლოდ დიპლომატ—პოლიტიკურ გზით— ბავშვური ოცნებაა სამშობლო ისტორიის უცოდინართათვის. აუცილებელია «შინაგანი გამაგრება», ე. ი. ინტეგრალურ ნაციონალიზმშია ჩვენი ხსნა. ინტეგრალური ნაციონალიზმი უყრის საძირკველს იმ ეროვნულ შენობას, რომელიც უნდა ააგოს სულიერად გარდაქმნილმა ქართველმა ერმა.

გამარჯვება შეიძლება მხოლოდ ღრმა ეროვნულ რწმენით, რომელიც ახასიათებს ჩვენს ისტორიაში ყველა გამარჯვებას. ლორე ციხის აღებაში ალექსანდრე დიდის დროს, მხურვალე მოწაწილეობა კათალიკოზ თედორეს მიუღია. მას «ლაშქართა მიმცნებითა» და დარიგებით, მებრძოლთა სულიერი განწყობილება განუმტკიცებია. ბრძოლის წინ, კათალიკოზი ამხნევებდა და მამულიშვილურ გრძნობებს უღვიძებდა: «გახსოვდეთ, რომ აწა უსჯულოთა, ანდრონიკეს შვილი მოუკლავს და მრავალნი ქრისტიანენი წამებითა აღუსრულებიან და დაუტყვევებიან და ტაძრი მეფეთა განურყვნია და საპატიოსნო და ცამდის მაღალნი საყდარნი შეურაცხ უქმნია და ჯნეთა მათთათვის საყოფად განუჩენია-ო». აი ასეთ მოწინააღმდეგესა და მტერთანა გაქვთ საქმე და ამიტომ აწ «ბრძოლეთ ძლიერად-ო». კათალიკოზ თედორეს ქადაგებით, ჩაგონებით და გამხნევებით აღფრთოვანებულს საქართველოს ჯარს, ლორე მტრისათვის წაურთმევია და თვითონ დაუჭერია.

შეადარეთ ჩვენი წარსული ისტორია დღევანდელ ხანას, სადაც 1921 წ. ჩვენმა ხალხმა ვერ იბრძოლა საკმარისი ენერგიით და, თქვენ ძალა-უნებურად გაიმეორებთ «თეთრ-გიორგულად», რომ ვიდრე ეს სულიერი სიმტკიცე, ეს რწმენა, პატრიოტიზმი, რომელნიც რუსულმა ბატონობამ წარტაცა ჩვენ ხალხს, თუ ახლად შექნებული არ იქნება და ქართველი ერი არ განიკურნება და არ დაადგება ინტეგრალურ ნაციონალიზმის გზას, ის მნიშვნელოვან გამარჯვებას ვერ იხილავს.

თედორე კათალიკოზის მიერ დასახელებულ «ანდრონიკეს შვილს» მიჰყვებიან კიდევ ბევრი სხვა ნაწამებნი დღევანდელ მტრებისაგან.

ჩვენ ვამბობთ: ერა მხოლოდ მაშინ შეუძლია ნაყოფიერი ბრძოლა, როდესაც მან იცის ვინ არის მისი მტერი და რას წარმოადგენს ის. ჩვენ ვამბობთ: უნდა მივიტანოთ ჩვენ ხალხში უკიდურესი ეროვნული სული. «დიდ ცეცხლს დიდი გერგა უნდა». ჩვენ ვამბობთ: ინტეგრალური ნაციონალიზმი არის გარკვეული დოგმა და ლოგიკური მდგმები თეთრი გიორგის დევიზისა: «საქართველო უწინარეს ყოვლისა». შეგნებული ხალხი, მუდამ ეროვნულ გზაზე დარჩება, მაგრამ ეს სრულებით საკმარისი არ არის, რომ მტერს უნდა დაუპირდაპირდო ეროვნული დარაზმულობა. ეროვნული დარაზმულობა კი, არის მკვიდრი ეროვნული იდეოლოგიის, რომელიც შობს რწმენას და დისციპლინას.—

ჩვენ ვამბობთ: ეროვნული იდეოლოგიის დედა-ბოძი არის ინტეგრალური პატრიოტიზმი. «ვისაც სახლი არ აუშენებია, დედა-ბოძი მიწიდან ამოსული ჰგონია»

ჩვენ მოუწოდებთ ქართველებს: შეერთდით ერთ დიდ პატრიოტულ ორგანიზაციაში და ეროვნულ დისციპლინაში!

დიახ, ისინი, რომელნიც ნამდვილად არიან განმსჭვალულნი ეროვნული იდეით, თეთრი გიორგი-ს დროშის ქვეშ დადგნენ!

ეხლავე უნდა დავრაზმოთ საჭირო კადრი ეროვნულ პრაქტიკულ განხორციელებისათვის. მკვიდრად და ნათლად ჩამოყალიბებული იდეოლოგია აუცილებელია გამარჯვებისათვის.

თეთრი გიორგის ლაშქარი შემთხვევით ელემენტებისაგან ვერ შესდგება. —შემთხვევითი ელემენტებისაგან შემდგარი მეჯგუფეობა ხან მოკლეა. თეთრი გიორგის კარები ღიაა მხოლოდ იმათთვის, ვინც წინასწარ მის იდეებს გაიზიარებს, მათ ღრმად ირწმუნებს, სულით მიეცემა მის საქმეს, სავსებით, უსიტყვოდ დაემორჩილება მის დისციპლინას.

გ. საფარელი.

---

## საგანგებო სასამართლოთა გამო.

თუ კი 5 ივლისის კანონის ავტორი ნ. ყორდანია იყო, მისი ხორცშემსხმელი და ცხოვრებაში გამტარებელი იყო პირველ ხანებში ნ. ყორდანიას რესპუბლიკის თანამშრომელი, სოციალისტ-ფედერალისტურ პარტიის წარმომადგენელი, იუსტიციის მინისტრი შალვა მესხიშვილი. რომ შალვა მესხიშვილი, მიუხედავად იმისა, რომ სწავლა დამთავრებული იურისტი იყო, ბანს აძლევდა სოციალ-დემოკრატიულ ანტისახელმწიფოებრივ პოლიტიკას, ეს თუმცა სამწუხარო, მაგრამ გასაკვირველი არ იყო. სწავლა-მეცნიერება და თვით იურიდიული სახელმწიფოებრივი მეცნიერება თავისთავად არ წარმოადგენს გარანტიას ანტისახელმწიფოებრივ სიგიჟისაგან.

სამურზაყანოში მე გამიგონია ერთი ფრიად გრძნეული ანეგდოტი: სამეგრელოს დედოფალი ესტუმრა რუსეთის იმპერატორს და თან წაიყვანა თავის კარის-კაცი, ვინმე დადიანი. იმპერატორი გაკვირვებული იყო იმ სიბრძნით, რომელსაც ეს უსწავლელი ადამიანი იჩენდა მასთან საუბარში და როცა კამოსთქვა თავისი გაკვირვება, დადიანმა უპასუხა: «ხელმწიფე იმპერატორო, სწავლა სტუმარია და მისი გავლენა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ღირსების არის მასპინძელი, რომელიც ამ სტუმარს ღებულობს».

ჩვენი ახალგაზრდობა, რომელიც სწავლა მეცნიერებას და კერძოდ იურიდიულ განათლებას [illegible] წინასწარვე გაყოფილი იყო რევოლიუციონურ-სოციალისტურ იდეებით, მაშასადამე [illegible], ურომლისოდაც ფუჭია სწავლა და რომელსაც [illegible] მეცნიერები უპირველესად ყოვლისა მოითხოვენ თავიანთ მოწაფეებისაგან, — სად ადამიანის გონებას. როდესაც ადამიანის ბუნება წინასწარვე მოწამლული ანტისახელმწიფოებრივ მხამით, როდესაც იგი შედის რა მეცნიერების ტაძარში, უყურებს მეცნიერულ დისციპლინას, როგორც ბურჟუაზიულ კაპიტალისტურ წყობილების დამცველ იარაღს და ამ წყობილებაში თავის შესანახავ საშუალებას, მაშინ ძნელია მეცნიერებისათვის მისი განკურნება. რა უნდა ყოფილიყო სახელმწიფო სოციალისტ-ფედერალისტ მესხიშვილისათვის? მის წარმოდგენაში ამ ცნებასთან შეკავშირებულიყო ის ციკინის ჯაჭვები, რომლის ქვეშ საუკუნეთა განმავლობაში გმინავდა კაცობრიობის უდიდესი ნაწილი. რომ სახელმწიფოს ცნება არ ამოიწურვის იმ სამინელებით, რომელსაც დღესაც მრავალი სახელმწიფონი წარმოადგენენ და, რომელსაც წარსულში ყველა სახელმწიფონი წარმოადგენდნენ, რომ აქ წარმავალ გამოცდილებითი (ემპირიულ) მოვლენებში იმალება დიდი ხნის წინათ ბრძენთა მიერ აღმოჩენილი უძვირფასესი საუნჯე. ამას სოციალისტებში არა თუ უბრალო მომაკვდავნი, არამედ თვით მათ აზროვნების მპყრობელი გოლიათები ვერ ამჩნევდნენ. მაშასადამე შალვა მესხიშვილისათვის, როგორც სოციალისტ რევოლიუციონერთა ბანაკში აღზრდილ სოციალისტ-ფედერალისტისათვის სახელმწიფო თავისთავად იყო არსება უფრო მორეული, ვინემ ჰამლეტის აქტიორებისათვის ჰეკუბა. მით უმეტეს, სოციალ-ფედერალისტთა პარტიის ტრადიციით თან ძოსდევდა ანარქისტული აზროვნება, თვით ამ პარტიის წარმომავის ხანაში ნათლისმამოვის როლს ანარქისტები თამაშობდნენ. მაგრამ თვით სად იურისტებში, ძნელი არ იყო ჩვენში ისეთ პირების მონახვა, რომელიც გამოსადეგი ყოფილიყო იმ როლისათვის, რომელსაც ჩვენ სახელმწიფოებრივ პოლიტიკაში სოციალისტურ ბანაკის იურისტები თამაშობდნენ. იურისტი კანონმდებელი, იურისტი სახელმწიფოს მმართველი — ეს ხომ სახელმწიფოებრივი ფუნქციებია უაღრესად კვალიფიციურ ხასიათის. აქ საკმარისი არ არის სად გონების მიერ აკადემიურ საქმიანობის დროს შეთვისებული და პრაქტიკულ მოღვაწეობით შევსებული ზოგადი სახელმწიფო წარმოდგენანი, მიკერძოებითი (პარტიული) სახელმწიფოებრივი აზროვნება, რომელიც შესაძლებელია ჰქონდეს არა მარტო იურისტს, არამედ ამა თუ იმ სახელმწიფოებრივ დარგში მომუშავე სხვა ჯურის სპეციალისტებსაც. აქ საჭიროა ინტეგრალური სახელმწიფოებრივი აზროვნება. ასეთი აზროვნების შექმნა შეიძლება მხოლოდ კვალიფიციურ მეცნიერულ საქმიანობით. აქ საჭიროა დიადი მეცნიერული ნებისყოფა, ღრმა შესწავლა მასალების, ისიც არა მარტო ერთი რომელიმე ქვეყნისა, საჭიროა მეთოდოლოგიურად გამალაშინებულ აზროვნებით შეცნობა იმ პრინციპების, რომელიც ამ მასალებს საფუძვლად უდევს, საჭიროა ღრმა დოგმატიური განსწავლა. როცა ამას მიემატება თვით სახელმწიფოს შესწავლა, როგორც კანონმდებლისა და მმართველის, აი მაშინ იგადება იურისტ-მეცნიერი, აი მაშინ იწყება ინტეგრალური სახელმწიფოებრივი აზროვნება, აი მაშინ იწყება შესაძლებლობა იმ პრობლემათა წყების სათანადო გადაწყვეტის-რომელსაც სახელმწიფოებრივი აღმშენებლობა იძლევა.

გვყავდა თუ არა ჩვენ იურისტ-მეცნიერი? ერთი რომ გვყავდა ეს უდაოა. მხოლოდ დიოგენის ფარნით რომ გვეძებნა, როგორც საქართველოს საზღვრებში და აგრეთვე საქართველოს გარეთ, შესაძლებელია ერთი კიდევ მოგვეძებნა, უდიდესი იქნება ორი. მიუდგომლად რომ ვსთქვათ, ასეთი ნაკლი დიდი უბედურება იყო განსაკუთრებით ერისათვის, რომელიც იწყობს სახელმწიფოებრივ ცხოვრებას; მაგრამ უფრო სამწუხარო და სავალალო ის გარემოება იყო, რომ ნ. ყორდანიას საქართველო სრულებით არ გრძნობდა ამ უბედურებას, მას არც კი შეეძლო საერთო ენის გამონახვა ასეთ მეცნიერებთან. პირიქით, ნ. ყორდანიას საქართველომ საჯაროდ პარლამენტის ტრიბუნიდან სრულიად უსირცხვილოდ გამოაცხადა საზოგადოთ ცოდნის არა საჭიროება. და ამ დებულებაზე ააგო კანონი ისეთ დაწესებულებისათვის, რომლისთვის საკმარისი არ იყო საზოგადოთ იურიდიული განათლება, რომლისთვის საჭირო იყო სწორედ კვალიფიციური იურიდიული განათლება, იურისტ-მეცნიერები — სენატისათვის.

თუ არიან პირები, ამბობდა დამფუძნებელ კრების სხდომაზე სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია ზაქარია გურულის პირით, რომელთაც არა თუ მედიკური განათლება, საერთოდ არავითარი სწავლა-განათლება არ მიუღიათ და დიპლომიან ექიმებზე უარესად არ აქიმობენ ავადმყოფებს, რატომ არ შეიძლება, რომ იურიდიულ განათლებას მოკლებულ პირმა, კანონი, იურისტებზე უკეთ განმარტოსო. ასე ჰქონდა ქართველ სოციალდემოკრატიას გამასხარავებული და აგუჩად აგდებული ქართველი ერის სახელმწიფოებრივი ინტერესები.

დაუბრუნდეთ შალვა მესხიშვილს. მას არ ესმოდა სიკვდილით დასჯის სახელმწიფოებრივი აუცილებლობის შემოღება საქართველოში. მიუხედავათ ამისა, იგი თვით ისეთ საშინელ მახინჯ კანონს, როგორიც 5 ივლისის კანონი იყო, ხელს აწერდა, ეს იყო მხოლოდ იმულებით,

ამას ნ. ჟორდანია გადაჭრით მოითხოვდა, ქართველ სოციალ-დემოკრატიისათვის ხომ კოალიცია — ეს სოციალ-დემოკრატიულ ლუდუკის ქვეშ ცეცხლის დანთებას ნიშნავს, ამას ისინი უწოდებენ პროლეტარიატის, ან რაც მათ ტიგიკონში იგივეა, სოციალ-დემოკრატიის ღალატს. როგორც ადამიანს უაღრესად კეთილმოგილს, შალვა მესხიშვილს სიკვდილით დასჯა სძულდა (განა იგი რა მოსაწონია?) ამიტომ მან მიზნად დაისახა თვით კანონის ხაგიტაჟი.

იმ დროს, როდესაც ერის ინტერესები მოითხოვდა დაუყოვნებლივ ცეცხლითა და მახვილით სახელმწიფო წესიერების აღდგენას, შალვა მესხიშვილმა მხოლოდ საში თვის შემდეგ შემოიღო კანონი იმ სასამართლო აპარატების შესახებ, რომელიც შეადგენდა სიკვდილით დასჯის გამოტანას. თვით ამ კანონს კი მისცა ისეთი სახე, რომ სიკვდილით დასჯა გაცილებით უფრო იშვიათი შემთხვევა უნდა ყოფილიყო, ვიდრე იყო მისი საჭიროება, ვინემ ის დანაშაულობანი, რომელთა წინააღმდეგ ასეთი დასჯა იყო შემოღებული. მაგალითად ტფილისის საგანგებო სასამართლოს ერთი წევრად ალვა მესხიშვილმა სილიბისტრო ჯიბლაძე დანიშნა და საბუთად შემდეგი მოსაზრება მოჰყავდა: მე დავესწარი ამის შესახებ მის კერძო საუბარს ქუთათურ ვექილთან. «თუ ს. ჯიბლაძე-ო» ამბობდა იგი «ვისმეს სიკვდილით დასჯას ხელი მოაწერა, ეს იმის დამამტკიცებელი იქნება, რომ ის ადამიანი მართლა მოსახპოვი ყოფილა-ო» თუ კი თვით მინისტრი თავის პოლიტიკას იმ გზით აწარმოებს, რომ კანონი ცალიერ ქაღალდად იქცეს, იქ რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს კანონს?! სუხუმის საგანგებო სასამართლოს თავმჯდომარე აშკარად უკრძალავდა მთავროვის წარმომადგენელს, რომ იგი არც ერთს განაჩენს სიკვდილით დასჯისას არ გამოიტანს! მართალია ამ სასამართლომ ერთხელ კი გამოიტანა მეორე თავმჯდომარის მეთაურობით ასეთი განაჩენი, მაგრამ ეს მხოლოდ თვალთმაქცობა იყო, ვინაიდან ამნისტიის გამო არ მოიტლეგოდა განაჩენის სისრულეში მოყვანა. სინამდვილე მოითხოვდა სულ სხვა პოლიტიკას, ვინემ მესხიშვილისა და მის შემდგომთა პოლიტიკა იყო. მაშასადამე, სიკვდილით დასჯა გრძელდებოდა კვლავ არალეგალურ სახით და განსაკუთრებით «გაქცევის» მეთოდით.

### დამატებითი შენიშვნები.

ცოდნა, განათლება სახელმწიფო მოღვაწისათვის აუცილებელ თვისებას წარმოადგენს, მაგრამ სავალდებულო არ არის მისთვის, რომ ეს განათლება იყოს ისეთ მაშტაბის, რომელიც ჭეშმარიტ მეცნიერს ახასიათებს. სახელმწიფო მოღვაწისათვის განათლების გარდა აუცილებელია მრავალი სხვა თვისებანი, რომლითაც შეიძლება შემკული იყოს მეცნიერიც რაც შესაძლებელია მას აკლდეს. მაგრამ სახელმწიფო მოღვაწეს უნდა ძლევდეს მეცნიერებთან საერთო ენის გამონახვა, მასი გამოყენება სახელმწიფო აღმშენებლობითი მუშაობისათვის, საზოგადოთ მეცნიერება ერის საუკეთესო ტენეშრივ ძალების. ამას უკარნახებს სახელმწიფო მოღვაწეს უბრალო პასუხისმგებლობის გრძნობა და მამულის სიყვარულის თვისებანი, რომლის ნატამალი ჩვენს სახელმწიფო მეთაურებს არ გააჩნდათ. როდესაც მე აღვნიშნე, რომ იმ რამოდენიმე ქართველ მეცნიერულ ძრომებში, რომლის მიძღვნა საქართველოს შეეძლო, იყო ერთი, რომლის მეცნიერება უ... იყო; მხედველობაში მყავდა ზურაბ ავალიშვილი. რასაკვირველია, საქართველოს იგი არ უძღვნია, მან თვითონ მოიხვეჭა საქართველო. ზურაბ ავალიშვილი სივრცით იყო დამოშორებული საქართველოს, სულით კი იგი მუდამ არის საქართველოსთან.

მის შესახებ მე ჯერ კიდევ 1907 წ. სანკტპეტერბურგში ცნობები მივიღე ცნობილ ქართულ ლიტერატორ და პოლიტიკურ მოღვაწე თ. სახოკიასგან. 1903 წელს, როცა ევროპაში არალეგალური ქართული ორგანო «საქართველო» დაარსდა არჩილ ჯორჯაძის მეთაურობით, ფრანგულ ტექსტს გაზეთისას ზურაბ ავალიშვილი აღგენდა. მაშასადამე, როცა საქართველოს იდეა განთავისუფლებულ იქმნა «მზოპის სტილისაგან» და საქვეყნოდ ევროპაში იქმნა გამოტანილი, აქ ზურაბ ავალიშვილი მთავარ როლს თამაშობდა. «ევროპაში გამოსაჩენი კაცი ჩვენ მხოლოდ ზურაბ ავალიშვილი გვყავსო» ნ. ჟორდანიას საქართველომ იკადრა ზურაბ ავალიშვილის გამოყენება ევროპის მუჯლუგუნის თავიდან ასაცილებლად. და ეს მხოლოდ იმ დროს, როცა საგარეო პოლიტიკა ხელში ჩაუვარდა აკაკი ჩხენკელს და როცა, ამ პოლიტიკის წარმოებაში ის საესებით განთავისუფლდა პარტიულ კომიტეტისა და საქმეების ერჭყალებისაგან. აკაკი ჩხენკელი, ვითარცა მარქსისტი, სრულებით უსუსური იყო შინაგან პოლიტიკის წარმოებაში, ზოგიერთ თვისებათა გამო, ის კარგი გამოდგა საგარეო პოლიტიკის წარმოებაში და ამ სფეროში ქართველ ერს დიდი სამსახური გაუწია, სამსახური, რომელიც მისმა პარტიულმა მეგოგრებმა ქართველ ერს მზამად უქციეს. ა. ჩხენკელმა პირველად დაარღვია სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში ნ. ჟორდანიის მიერ დამყარებული ადათი — საპასუხისმგებლო მოღვაწეობაში გონებრივად უფრო დაბლა მდგომ პირებზე დაყრდნობა. აკაკი ჩხენკელმა თანამშრომლებად ისეთი პირები აიყვანა, როგორიც იყო ზურაბ ავალიშვილი, რომელთაც იგი გონებრივად ისე შორ შეედრებოდა, როგორც დედა-მიწა ცას. ასეთ ხერხს ერის ბედ-იღბალში ზოგრად გარდამწყვეტი როლი უთამაშნია, იგი ბედნიერს გზაზე გამოუყვანია. მხოლოდ ასეთ ხერხს შეეძლო საქართველოსათვის ის უზედურება აეცილებია, რომელშიაც

ნ. ჟორდანიამ და მისმა თანამშრომლებმა თავის სრულ უპასუხისმგებლობით იგი ჩააგდეს. როცა საქართველოს საგარეო პოლიტიკასაც ისე, როგორც შინაურ პოლიტიკას საესებით სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ცენტრალური კომიტეტი, ეს საქართველოს გორიტი სული დაეპატრონა, როცა ამ პოლიტიკის ცენტრად პარიზის ლეგაცია გადაიქცა, მაშინ კი ზურაბ ავალიშვილი უსაქმოდ დარჩა, ა. ჩხენკელს სპეციალური ზეგავლენა დასჭირდა პარიზის ლეგაციაზე, რათა ზურაბ ავალიშვილი მათ გამოეყენებინათ. უკანასკნელის მიერ გამოქვეყნებული მემუარები კიდევ არ იძლევიან ნათელ სურათს იმ ტრაგედიისას, რომელსაც წარმოადგენდა ზურაბ ავალიშვილისათვის თანამშრომლობა სოციალ-დემოკრატიულ საქართველოსთან, ანგლოზის მოთმენა იყო საჭირო, რომ იმ სფეროში არ შეშლილიყო ისეთი კაცი, როგორც ზურაბ ავალიშვილი სრულიად სხვა ქვეყნიდან მოსული.

აქ მე ნებას ვაძლევ ჩემ თავს მკითხველს ის სანტპეტერბურგო საუბარი ვაუზიარო, რომელიც მე ზურაბ ავალიშვილის შესახებ 1919 წელს ა. ჩხენკელთან მქონდა. უკანასკნელთან ერთ მეგობრულ საუბარის დროს მე შევეხე საქართველოს ფინანსიურ მდგომარეობას და აღვნიშნე, რომ საქართველოს მეთაურებმა კიდევაც რომ მოინდომონ ფინანსიურ უწყების სათავეში საუკეთესო ძალის დაყენება, მაინც ვერ მოსძებნიან შესაფერ კაცს.

«არის ერთი» მიპასუხა ჩხენკელმა. მე ვსთხოვე დამესახელებინა იგი.

ა. ჩხენკელი. — «ზურაბ ავალიშვილი».

მე. — ზურაბ ავალიშვილი ხომ სახელმწიფო უფლების სპეციალისტია და არა ფინანსთ-მეცნიერი.

ა. ჩხენკელი. — არ არის საგანი, რომლის სპეციალისტი ზურაბ ავალიშვილი არ იყოს, თუ კი მართლა მოიპოვება ასეთი საგანი, მას ცოტა დრო სჭირია, რომ იგი სპეციალისტზე უკეთ შეისწავლოს. მაგ. ზურაბ ავალიშვილი არ იყო საერთაშორისო უფლების სპეციალისტი, დღეს კი მასავით მცოდნე სპეციალისტი ამ დარგში ევროპაშიც ბევრი არ მოიპოვება.

მე. — თუ კი ზურაბ ავალიშვილი მართლა ასეთი კაცია, რატომ აღარ გამოჩვადგა პარიზში?

ა. ჩხენკელი. — ზურაბ ავალიშვილისთანა კაცი საფრანგეთში გყავდეს და საფრანგეთი საქართველოს საკითხის გამო ვერ ააფეთქო ეს სირცხვილია.

მე. — მაშ ჩვენს წარმომადგენლებს თავისი პარტიული ავადმყოფობა პარიზშიც ჩაუტანიათ რომ ზურაბ ავალიშვილისათვის არავითარი ანგარიში არ გაუწევიათ.

ა. ჩხენკელი. — როცა მე ამსტერდამის კონგრესზე გავემგზავრე, მიზნად მქონდა მქონდა იქ ირაკლი წერეთელს შევხვედროდი და იგი დამერწმუნებია ზურაბ ავალიშვილთან მჭიდრო თანამშრომლობაში. მთელი ღამე ვიდავეთ სასტუმროში, თვით მეზობლები პროტესტს გვიცხადებდნენ, ვინაიდან ჩვენის კამათით მათ არ ვაძინებდით.

ჩაიკეტჩგოდნენ პარიზში ლეგაციის ოთახებში და გამართავდნენ თათბირს და ზურაბ ავალიშვილს განზე სტოვებდნენ, თითქო პარტიულ მისიით ყოფილიყვნენ ჩამოსულნი და არა დიპლომატიურის, რა უნდა ჰქონოდა დიპლომატიურ მისიას მისი ექსპერტ ზურაბ ავალიშვილისაგან დასამალავი?

დღეს სოციალ-დემოკრატიულ წრეებში ზურაბ ავალიშვილს მალიან ცუდათ იხსენიებენ, მათი უტიფრობა იმ ზომამდე მიდის, რომ «ბრძოლა» იმასაც ამბობს: ზურაბ ავალიშვილი თავის წიგნში საქართველოს დამოუკიდებლობას აბუჩად იგდებსო. თითქოს მთელი წიგნი გოდება არ იყოს იმის გამო, რომ სოციალ-დემოკრატებმა საქართველო აბუჩად აიგდეს.

«ავალიშვილი მხოლოდ მწერალი იყო «დიაკის-ო»», ამბობენ დღეს მარქსისტები.

ა. ჩხენკელის მისიაში ზურაბ ავალიშვილი მწერალი კი არ იყო, ის იყო ბუმბერაზი შემფასებელი მოვლენების, დამცველი ევროპის წინაშე საქართველოს უფლებების. ჩხეიძე-წერეთლის მისიაში კი ავალიშვილი მართლა მწერლად აქციეს, მაგრამ ეს გარემოება ქართველ ერს ძვირად დაუჯდა, სპას კონფერენციაზე ევროპამ საქართველოს ზურგი შეაქცია (*).

ვლ. ემუხვარი

(*) თუ რას წარმოადგენდა პარიზის დელეგაცია, ამას მშვენივრად ახასიათებს შემდეგი გარემოება: 1920 წელს. მე შემთხვევა მქონდა გაასის, ერთ უაღრესად განათლებულ და ცნობილ მანდილოსანთან, რომელიც ქართულ საქმესთან მალიან დაახლოვებული იყო და საქართველოს მისიას დაუფასებელ სამსახურს უწევდა, სადაც კი შემთხვევა ჰქონდა. ეს მანდილოსანი მალიან ხევდიანად უყურებდა საქართველოს მომავალს, ვინაიდან მეტისმეტ და გაშობად მიაჩნდა საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება. ის აღტაცებით იხსენიებდა ზ. ავალიშვილს, ეს არის ერთად ერთი კაცი, რომლითაც თქვენ შეგიძლიათ იამაყოთო». მეუბნებოდა ის მანდილოსანი. მან ჩამოაგდო საუბარი ი. წერეთელზე და სთქვა, რომ ირაკლი წერეთელი 16 წლის გიმნაზიელიაო. ამის საბუთად მან შემდეგი სთქვა: «ერთხელ მე უთხარი მას, რომ ა. ჩხენკელმა ქართულ საზოგადოების ყველა წრეებში დიდი პატივისცემა დაიმსახურაო, მან მიპასუხა, რომ სოციალისტებს ცუდათ ახასიათებს ყველა წრეებში პატივისცემის მოპოვებაო». როცა ი. წერეთელი 1917 წელს აგვისტოს, რუსეთის სახელმწიფო თათბირზე სიტყვას ათავებდა, იგი მემარჯვენეებს ეკითხებოდა — «ესენი-ო» უთითებდა მემარცხენეებზე, «მე ტაშს დამიკრავენ, თუ დამიკრავთ თქვენ ტაშს-ო». რუსეთში იგი ეძებდა პატივისცემას ყველა წრეებში, საქართველოში კი ქართველ მინისტრისათვის საერთო პატივისცემა მას სირცხვილად მიაჩნდა. ასეთ სულისკვეთების ხალხს უნდა დაეცვა საქართველოს ინტერესები!

---

### დისციპლინა.

(წაკითხული თეთრი გიორგის პირველ ყრილობაზე ბ. ირ. ოთხმეზურის მიერ. მოხსენების გაგრძელება.)

### დაყოფილი საქართველო.

როგორც ეროვნულ სახელმწიფოს სიცოცხლეში, აგრეთვე ყოველგვარ სხეულის სიცოცხლის საიდუმლოებას შეადგენს ერთი რამ: კვდებიან უჯრედები და მის ადგილზე მოდის ახალი უჯრედი იმავე სახის და შინაარსის (მაგალითად მცენარის და ცხოველის სხეული) ამიტომ ვამბობთ, რომ საქართველოში მრავალი საქართველოს შექმნის სულისკვეთებაც ჩვენ ეროვნულ სხეულისათვის მავნეა და ამ სულისკვეთებას ახასიათებენ დღეს ჩვენში პოლიტიკური პარტიები. ისინი საქართველოს ახალ ერთეულებად ჰყოფენ, ტომების მაგივრად კლასები გამოჰყავთ და დასაყრდნობ სოციალურ განსხვავებებში ეძებენ. აქედან კი ცდილობენ თავისი უფლება მოწინააღმდეგე «კლასს» მოახვიონ თავზე. (როგორც ამას მარქსიზმიდან შეიძლება მოვლენთა ალღვივ ახსნილი ერისთავები.) სინამდვილეში კი საერთოდ ასე ხდება, რომ ძლიერდება «ბურჟუაზიის» ამლიერებს და აგროვებს ქარხნებში «პროლეტარიატს». დასუსტდება პირველის, ასუსტებს მეორესაც და ამით ნადგურდება ერი. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს კანონი შეცვლილია ჩვენი სინამდვილისაგან. ჩვენში «მემარჯვენენი» უფრო გაძლიერდნენ, რადგან აქას ხელი შეუწყო უცხო კაპიტალის ბატონობამ, რამაც შექმნა ქართველი ქარხნის მუშა და არა ქართველი მემამულე. რუსეთის ბატონობამ განავითარა წაბაძვითი აზროვნება და რღვევითი იდეები, ვინემ დამოუკიდებელი და შემოქმედებითი.

ვ. რადგან «მემარცხენენი» ნაკლები მამულიშვილები იყვნენ და ხელისუფლების მისაღწევად იყენებდნენ რუსის ძალას, როდესაც «მემარჯვენეს» უფრო პატრიოტულად განწყობილთ ეს არ შეეძლოთ.

ეს პარტიები ცდილობენ ერთმანეთი დაასუსტონ, ამით სუსტდება სახელმწიფო და ეროვნული შეგნება. ასეთ პირობებში ხდება გადაბრუნება მმართველობისა. არა ცოდნას მეცნიერულს, საერთო დამსახურებას ერის წინაშე და მამულიშვილურ შეგნებას უკავია პირველი ადგილი სახელმწიფოში, არამედ მას ვინც შესძლებს ამ დაქუცმაცებული ინტერესებით შემოფარგლული პოლიტიკური პარტიების კულის მოგებას. ასეთი ვიწრო პარტიული შეგნებით აღჭურვილი პარტიის პოლიტიკანები არ დაერიდებიან არავითარ სიბოროტეს პირადი პარტიული მდგომარეობა განამტკიცონ და ამას ყველაფერს ჩაიდენენ «სათნოების» გულისათვის (ამის ცოცხალ მაგალითს იძლევა ჟორდანია-რამიშვილის წერილი). ასეთი დაყოფილი პარტიული სამთავრობო ხშირად იქამდე მიდიან თავის ვიწრო ინტერესების ბრმად დაცვაში, რომ დაეყრდნობიან უცხო ძალას პირველების (ბოლშევიკების) როლში მოევლინებიან ქვეყანას.

თუ კი მათში არის საერთო ეროვნული ინტერესების დაცვისთვის გაერთიანების სულისკვეთება, ამას უფრო პატარა ერთი ფედერაციის შინაარსი აქვს. ამის ცოცხალი მაგალითები დღეს «საერთო ფრონტია» და გუშინ ჩვენი პარლამენტი იყო. ეს არ არის ჯანსაღი «თეთრ გიორგული» მამულიშვილთა სახელმწიფოს ორგანოები; ამიტომ ზემო აღნიშნული პარტიული ფედერაციების ნაყოფი ყოველთვის სუსტი იყო და არის. რადგან თუ კი «ადამიანი არის შედეგი თავის აღზრდის», ისინი იზრდებიან კლასიურ-პარტიული დისციპლინის ატმოსფერაში და არა ქართულ მთლიან ისტორიული დისციპლინით. მათ «თეთრი გიორგი» არ ესმით ისე, როგორც ჩვენ. — რაინდი, რომლის წმინდა თავი, მისი შუბის წვერი და თეთრი მერანის ნაზტომი, ერთ მთლიან დისციპლინური ძარღვებით არის შეერთებული და მაღალი ზნეობისთვის წინ მსრბოლავი, (აი ჩვენი საქართველოს ემბლემის გაგება.) არამედ მათ სწამთ ამ მთელი «თეთრი გიორგი-ს» დაშლა და ცალკე დისციპლინით თვითეული მისი სხეულის ნაწილის ამოქმედება და ღშირათ ეს ნაწილები მიდიან მთელი სხეულის საქართველოს წინააღმდეგ. ეს ნაწილები ომს უცხადებენ მთელ ეროვნულ სახელმწიფოებრივ სხეულს. მუსოლინი ამბობს: «სოციალიზმი არის მაგარი, მკაცრი, დიდი ძალის მქონე, ის არის ომი; და მწუხარება მას, ვინც ამ ომში გულ-სუსტია-ო.»

ჩვენ თეთრი გიორგელები არ ვიქნებით გულჩვილები თუ სოციალიზმმა თავისი მალა კვლავ ეროვნული სინოდისის საქციელად გამოიყენა და არ მოძებნა ის ადგილი საბრძოლველად, რომელიც თეთრი გიორგიმ თვითონ დაისახა მიზნად: მორალური და მატერიალური ამაღლებისა.

სოციალურად დღეს არსებობს მთლიანი ერთი გაღატაკებული საქართველო და მის ეკონომიურ განვითარებისათვის, საჭიროა ყველა მისი შემოქმედებითი იალქნების გაშლა და არა მისი კლასებად დაყოფა და პარტიული ჯინკლაობა.

### მთლიანი საქართველო.

მესამენი ვართ ჩვენ. ჩვენი ისტორიული წინაპრები არიან: დავით კურაპალატი, ივანე მარუშიძე, დავით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ებელი, თამარ ბრწყინვალი, გიორგი ბრწყინვალე, [illegible] დიდი, ალექსანდრე ბატონიშვილი, სოლომონ ლეონიძის და მრავალთა და მრავალთა საქართველო. ესენი არიან ყველა ისინი, ვინც ქმნიდენ ერთ ეროვნულ ხვეულს.

ჩვენ შემოსეულებს ვებრძვით, სოლომონ დიდის «წმიდა გიორგის», ზაქარია მხარგრძელის, დიდი მოურავის გიორგი სააკაძის, ალექსანდრე და ყმა ლევან ბატონიშვილების დისციპლინით.

და მტრებს, მატერიალისტურ ეგოისტურ პარტიულ დამყოფელებს, პიროვნების და სახელმწიფოს იდეის ამაღლებით, ქართულ გუნებრივ ზნეჩვეულებების განმტკიცებით და გაფაქიზებით და ყველა ეს «თეთრი გიორგის» დისციპლინით.

რაც წარსულიდან მიუღებელია ჩამოვიშოროთ, რაც ახამაღლებელია განვამტკიცოდ და ახალი დაუმატოთ.

ჩვენ თუ ვემსახურებით საქართველოს აღორძინების იდეას, ჩვენს წინაშე სდგას ორი დიდი დაბრკოლება, პირველი: რომ ჩვენში ბატონობს უცხო ძალა და მეორე, რომ ჩვენი ქვეყანა არ არის პარტიების გადამკიდე იმ დონეზე, რომ მთავრობის მთავრობათ ცვლა არ გამოიწვევდეს სახელმწიფო დანგრევას, რადგან მათ მთლიანი შეგნება ამისა დაასუსტებს. მაშასადამე ჩვენთვის აუცილებელია ორი დისციპლინა: პოლიტიკური და მხედრული. რომ ჩვენი კრეგული ხალხისათვის გამოსადეგი და მისაღები დარჩეს, საჭიროა ყველა იმ ახალი მიღწევების გამოყენება, რომელსაც უცხო ერები თავის ცხოვრებაში აღწევენ.

უდიდესი მოვალეობა აწევს თეთრი გიორგის მთავარ მდივანს და ხელმძღვანელებს, რადგან იმის განხორციელება, რაც ჩვენ მიზნად დავისახეთ შეიძლება დინჯი და მუდმივი საქმიანობით, ძლიერი დისციპლინის ქვეშ. მოვალეობა მათ აკისრებს იმუშაონ, ჯერკვენ მდგომარეობაში, იცნონ პიროვნებანი, შექმნან ახალი ტრადიციაც, შექმნან უჩინრად თვალსაჩინო ძალები და ყველაფერი ეს დისციპლინის აღზრდით ერთმანეთს გადააბან და მოქმედებაში მოიყვანონ.

მუსოლინი ამბობს: «მე ვარ მეთაური, რომელიც წინ მიდის და არა ხელმძღვანელი რომელიც უკან მიჰყვება». ეს უნდა ახსოვდეს ჩვენს მეთაურებს ყველა საქმეში. ყველამ უნდა იცოდეს, ამბობს შპენგლერი, «რომ ისეთი გმირები ან წმინდანები ცოტანი არიან საზოგადოთ, რომლებიც შეიძლებენ საკუთარი «მე»-ს თვისებით სამშობლოს სამსხვერპლოზე მიიტანოს-ო». ეს ყველაფერი ჩვენი კრეგულის და დისციპლინის მოსაგვარებელი საქმეა რაც უფრო რთულდება მდგომარეობა მით მეტად საჭირო ხდება წესრიგი, ზოგს, გარეშე ჩვენზე მაყურებელს, აშინებს ასეთი სიტყვები როგორიც არის მაგალითად «ულაპარაკო დამორჩილება» და სხვა.. რაც კაცს აფიქრებინებს, რომ აზრთა და პიროვნების თავისუფლება მოკლულია ჩვენ შორის; პირაქეთ, ამაშია მთელი კვანძი, დამორჩილება ხდება არა ძალდატანებით ან ცხოველურ შიშის ქვეშ (როგორც დამპყრობლებთან) ან წვრილი ეგოისტური მიზნების ქვეშ, როგორც პარტიებშია, არამედ სრული თეთრი გიორგული შეგნების ქვეშ. ერთი შეზრდილი და შეხმატკბილებული გრძნობით, ეროვნულ იდეით გატაცებული, როგორც ამას სჩადიოდნენ სააკაძის რაზმები, სოლომონ დიდის «წმიდა გიორგელები» ალექსანდრე და ლევან ბატონიშვილის და ბოლოს ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმები.

საინტერესოა მუსოლინის ეს სიტყვები, რომელიც ჩვენთვის გამოსადეგია, «ფაშიზმი არ არის საწყოგი თეორიულ დოქტრინების, რადგან ყველა სისტემაში არის შეცდომა და ყველა თეორია სატუსაღოა». ამიტომ ათასჯერ უფრო ძვირფასია ჩვენთვის ცოცხალი რაზმების დისციპლინის მაგალითები, ვინემ დოქტრინალური წიგნების შექმნა და იქიდან დისციპლინის შესწავლა. ის ამბობს კიდევ: «სრული თანხმობა და ერთფეროვნება ნიშანია სულიერი სიკვდილისა-ო». ჩვენ ვიბრძვით პატრიოტიზმის განვითარებისათვის და მაშასადამე არა სულიერი სიკვდილისათვის, არამედ მისი ამაღლებისათვის და ჩვენ დისციპლინაც სწორედ ამისთვის გვინდა.

მუსოლინი ამბობს: «ძლიერს მამაკაცებს ჩუმად უნდა უყვარდეთ და კვდებოდენ უცრემლოდ. მათ უნდა იმუშაონ და კიდევ იმუშაონ, სიკეთეს გზა გაუწმინდონ, რომ ამით ოჯახი და ძალზე წმინდა — სამშობლოს პატივი სცენ. ეს შეიძლება არა უმიზნო ჩივილის სიტყვებით მოხდეს, არამედ მიზან შეწონილი საქმით-ო». ჩვენც უსიტყოთ ვემორჩილებით ჩვენ დისციპლინას, რომელიც სამშობლოს წინაშე მოვალეობას გვაზდევინებს და მიზან-შეწონილად გვამოქმედებს. ამისთვის დავდევით ჩვენ ჩვენი სიტყვა და ფიცი.

## მოდგმათა მშვენიერება.

ქართველი ერის ცხოვრება უცვლელად შენახულია ჩვენს ისტორიაში. ერი სცოცხლობდა მრავალ საუკუნოების განმავლობაში, ძლიერი ნებისყოფით, დაუღალავი ეროვნულ შემოქმედებაში. სამშობლო და სარწმუნოება იყო ორი იარაღი არსებობის შენარჩუნებისა და მის დაცვას უნდა შეეწირა ერის საუკეთესო ძალა. როგორც სულიერი — ისე ფიზიკური. მებრძოლი ხალხი განაზლეული ეპოქის, რომლის მიზანი ბრძოლაში გამოკვეთილი სახე, ან უნდა მთლად გაწყდეს და, ან გამარჯვების ღირსეული გვირგვინი ატაროს კაცობრიობის წინაშე. ქართველი ხალხი მრთელია თავის სიღრმეში.

კაცობრიობას ერა დაიწყო და განვითარდა მთელი თავისი მამოძრავებელი ძალით კულტუროსან ხალხისა, იმ მიმართულებით, რომელიც ინდივიდუალურად უნდა გამოყოფოდა რჩეული ელემენტიდან ის დამახასიათებელი რასიული სახე, რაც ნათლად და მკაფიოდ გამომეტყველია დღევანდელ ხალხთა სხვაობისა. რაც უფრო მეტი სხვაობაა ხალხთა შორის, მით უფრო მაღალია ხარისხი კულტურულ შემოქმედებისა.

ქართველი ხალხი რასიულად ცალკე მტოს წარმოადგენს და მკაფიოდ განსხვავდება სხვა ერისაგან თავის სიძველით, როგორც ნიმუში თეთრი რასის წარმომობის; უშრეტი ენერგიის მქონე დღემდე მაცოცხლებელი და, რ ა ს ი უ ლ ი მ შ ვ ე ნ ი ე რ ე ბ ა, რომელიც უკვდავად არის ქმნილი წმინდა ქართველში.

ერთად-ერთი საგულისხმიერო მიზანი კაცობრიობის და კულტურის განვითარების სიდიადე, თავის მისაღწევ საგნად ისახავს მხოლოდ სილამაზეს. რაში უნდა გამოიხატებოდეს ეს მშვენიერება, თუ არა თვით ადამიანში, როგორც შემოქმედში. სხეულის სილამაზეა ჩვენი ყურადღების მიმპყრობი. რაც უფრო ლამაზი და სრულია ადამიანი, იმდენად მეტი ძალაა მასში შემოქმედების, რომელიც მხოლოდ მშვენიერების სრულქმნისაკენ მიმართავს ხოლმე თავის იდეალს. თუმც გემოვნებანი სხვადასხვაობენ, მაგრამ ლამაზი რამ ყველასა ხიბლავს თანაბარის ზომიერებით. რამდენადაც ეშხიანი შეხედულებისაა ესა თუ ის ადამიანი, იმდენის მომხიბვლელობით წარმოუდგება მას ცხოვრება თვალ წინ. მახინჯი, ყოველთვის სნეული სულის მატარებელია და მას სძულს ყველა ის, რაც მშვენიერების განმანსახიერებელია.

ეს შეხედულება გადადის და ვრცელდება ცხოვრების ყველა დარგში.

სილამაზის მიღწევა შემოქმედების ყველა სფეროში იყო დიად ხალხთა მთავარი მიზანი და ძალა, რომლის უკვდავად ქმნილი ნიმუშები დღესაცა გვხიბლავენ თავის მშვენიერებით.

მშვენიერების კულტი რამ ამართა კაცობრიობის სათავეში, რომელიც ძველ ბერძენ—რომაელებში იყო სრულად მიღწეული და, რომლითაც შეიქმნენ სათაყვანებელი ვენერა და აპოლონი; იმ ბერძნებში, რომელთა ოჯახებშიაც ქართველების და ჩერქეზების სისხლია გარეული. და განა ძველ ხელოვანებს იდეალად არ ჰქონდათ დასახული, მხოლოდ სილამაზის ნაზი ხაზები დაეტყვევებინათ თავის წმინდა შემოქმედებაში? მშვენიერების კულტია მიზნათ დასახული ახალ ცხოვრების განვითარებაშიაც.

ე რ ი ს მ ო დ გ მ ა თ ა გ ა უ მ ჯ ო ბ ე ს ე ბ ა, ა ღ ზ რ დ ა ჯ ა ნ მ რ თ ე ლ ი ს ი ლ ა მ ა ზ ი ს ა რ ი ს მ ი ზ ა ნ ი, ყ ო ვ ე ლ კ უ ლ ტ უ რ ი ს ს ა ი დ ე ა ლ ო ს ა გ ა ნ ი.

სამშობლოს სიყვარული და მისთვის სიცოცხლის შეწირვა, გამოხატავს წმინდა ზნეობრივ სისრულეს ყოველ კეთილშობილ და რაინდ ადამიანში. ბედნიერება მხოლოდ კმაყოფილებაშია და, ის ღირსეული შვილი თავის ქვეყნისა, ვისაც ვალად მიაჩნია თავის მამულს ტამლად დაედვას, მის კეთილდღეობას შესწიროს ყოველივე, დიალაც რომ ის მშვენიერია, სრულქმნილი.

ქართველი ერი, მხოლოდ ლამაზი შვილებით ამაყობს და ღმერთს ედრება სამშობლოს სიყვარულს რომ ზედ ელევა.

ქართველი წარმოშობით ბედნიერი, შემკული ყოველი კარგი თვისებებით, წარმოადგენს საიდეალო ნიმუშს, ჩვენი მომავალი სრულყოფისას.

განსაკუთრებით ახალგაზრდობაზე უნდა ითქვას, რომ ძალიან შთაბეჭდილებიანი ხანაა ეს მოზარდის წლოვანება. ადვილად შემთვისებელია მდარე ხასიათის მოვლენებისა. მასზე უზომო გავლენას ახდენს იმგვარი ხასიათის აზრები, რომელნიც არ თხოულობენ დიდ განსჯას და ყველაფრის უარყოფას კი წარმოადგენენ. რუსის «ბოლშევიკების» მიერ აღზრდილი ქართველი ახალგაზრდობა არის ყოვლად მახინჯი და უვარგისი კულტურულ ცხოვრებისათვის; რადგან ზერთოდ რუსული სკოლა ყოველთვის იყო «ბოსიაკების» სამყოფი და მას გადაგვარებული ადამიანების მეტი არაფერი მოუცია.

საუკუნოზე მეტი რუსეთი გვაზრდიდა ჩვენ ანომალიური მწერლობით. ამ საუკუნის განმავლობაში არც ერთი კაცი არ გაზრდილა ღირსეული ამ რუსულ სკოლაში, ან რა უნდა გამოსულიყო «ხულიგნების» ბუდიდან ადვილი წარმოსადგენია.

იმ ქართულ მოწინავე საზოგადოებამ, რომელმაც რუსეთში მიიღო თავისი სწავლა და განვითარება, მოუტანა საქართველოს ყოვლად მახინჯი და განმანადგურებელი ნაყოფი. შეირთეს რუსის ქალები, დაიტვირთნენ სოციალიზმ-დემოკრატიზმით და სწორედ ეს გახდა ხელის შემწყობი მიზეზი, რომ საქართველო მისულიყო დღევანდელ ეროვნულ დაკნინებამდე. მათი შთამომავლობა მთლად დამახინჯებული, გადაგვარებული, შეიქმნა მაგინებელი ჩვენი ქვეყნისა და თავის გამჩენის. შვილი მამას აღარა ჰგავს და დედა ქართველი ქალის იდეალს.

საქართველოს უპირველესად ყოვლისა ესაჭიროება ძლიერი თავდაცვა თავის მოდგმის საკითხში. უცხო ტომის ხალხი უნდა იდევნებოდეს ქართულ საზოგადოებიდან და არ უნდა შეერიოს სხვა სისხლი ქართველ ოჯახებს.

რა უნდა მოგვცეს მონღოლის მოდგმის ხალხმა, ამ ადამიანების საზიზღარ ჯიშმა! შეხედეთ რუსს და იგრძნობთ ამ საშინელებას. მისი სახე: თითით საჩვენებელი რუსის «ხულიგნის ტიპი». მას ყველაფერი ეზარება რაც ლამაზია. უნდა გაჰქელოს, გასრისოს თავის პირუტყულ ვნებაში.

რას უშვრებოდნენ ქართველ ოჯახებს და რა შეურაცხყოფას მოგვაყენებს — განა დავიწყებას [illegible] ? «აქტებში» ნახავთ ამგვარ [illegible] საშინელებას: რუსის გალეშილი სალდათები [illegible] დნენ ქალზე თავის მხეცურ ვნებას და შემდეგ [illegible] გამრცვნილ ქალს სასქესო ორგანოში ძაღლს უდგამდნენ და შიგ ღვინოს ასხამდნენ. არვის ინდობდნენ, არც ბავშვებს, არც ქალწულებს, არც დედებს და მთელ ოჯახს თავზე ლაფს ასხამდნენ. ცოლებს სტაცებდნენ ქმრებს და ხელფეხ შეკრულ ქმრის წინ აუპატიურებდნენ. ამაზედ მეტი ზნედაცემული და უკულტურო ხალხი განა შეიძლება აზვა არსებობდეს?

წავიდა ის დრო, როდესაც მშობლიურ ენაზე ლაპარაკს გვიკრძალავდნენ და ჩვენს ენას ძაღლის ენას უწოდებდნენ.

რა უნდა აღიზარდოს რუსის «ბოლშევიკების» ბრბოში, თუ არა ქვეყნის შეურაცხმყოფელი, ოჯახის დამანგრეველი ცხოველი! ასეთ პირველყოფილ ქვეყანას თვით სუდანის ნეგრებშიაც ვერ ნახავს ადამიანი. ეს ზედგამოჭრილი სკოლაა და სახელმწიფო რუსის «ხულიგნებისათვის», მაგრამ აქ ქართველი რა შუაშია, რა აქვს მას საერთო რუსის «გროდიაგასთან» ამ ადამიანის კარიკატურასთან.

მთელი ჩვენი ნებისყოფა უნდა გვქონდეს ამ დამღუპველი მოვლენის საწინააღმდეგოდ დაჭიმული და მთელი ჩვენი ძალ-ღონე შეელევა რუსული გავლენის მოსასპობად. აქ ახალგაზრდობა სდგას მოწინავე რიგებში, ისინი ქართველი ერის საამაყო შვილები შეიქმნებიან, თუ არ დასთმობენ და არ უღალატებენ ჩვენ მამა-პაპათა ანდერძს.

რომელ ერშიაც მონღოლის სისხლია შერეული, მას კულტურული განვითარება არ შეუძლია, ის ერი ბარბაროსია და მხოლოდ ბოლშევიზმის წარმომშობი.

ნაწილობრივ, ქართველ ოჯახებსაც აქვს შერეული მონღოლის სისხლი, რომელიც აშკარადა სჩანს ჩვენი ერის ცხოვრებაში. დღევანდელი ისტორიის უკუღმართი მოვლენა ჩვენ ნათლად გვიჩვენებს ქართველის სახეს. სამშობლოს მოღალატენი ყოველთვის იყვნენ უცხო ტომისანი და მათ არაბულ-სპარსული სისხლის კვალი ემჩნეოდათ. დღეს ყოველი სოციალისტი, მენშევიკ—ბოლშევიკი, ნათელი სახეა მონღოლური სისხლის, არა ქართული და მაშასადამე, მახინჯი, ერის სიწმინდის დამანგრეველი და უარყოფითი.

ჩვენი საქართველოსადმი სიყვარული, მისი ლამაზი ბუნებიდან გამომდინარეობს. სილამაზის თაყვანება არის ერთად-ერთი ფაქიზი გრძნობა გუნებით შემკულ ადამიანისა.

მთავარი მიზანი აღმზრდელობითი, სწორედ ამ დიად საფუძველს ეყრდნობა და ქართველი ერის მოდგმათა მშვენიერება, საიდეალო შთამომავლობას წარმოშობს, რომლის მასაზრდოვებელი ძალა სამშობლოს თავისუფლებით მიიმართება.

**სილამაზის გამოჩენა მისი უსპეტაკესი სახე, ნათლად გამოხატულია ქართველთა მოდგმის უპირატესობაში.**

**ბეჟ. გიორგაძე.**

## «თეთრი გიორგის» საღამო.

ა/წ თებერვლის 8-ს პარიზში, Georges V ის დარბაზში, თეთრი გიორგი-ს სასარგებლოდ გაიმართა საღამო, რომელსაც ხელმძღვანელობდა ქ-ნი თამარ დადიანისა, რომლის გემოვნებამ და დაუღალავმა შრომამ საუცხოვო ელფერი მისცა მას და გაალამაზა იგი.

საღამოს მფარველნი იყვნენ დედა და მეუღლე პრინც აშილ მიურატისა, ხოლო ქალთა შორის აღსანიშნავნი არიან მადამ ამირალ დიუ მენილ, მადამ მუიუ და მადამ კოკე, რომელნიც მხურვალე მონაწილეობას ღებულობდნენ საღამოს მოწყობაში.

საღამომ მიიზიდა აუარებელი საზოგადოება; განსაკუთრებით უცხოელები. დამსწრეთა შორის აღსანიშნავნი არიან: საქართველოს ელჩი ბ-ნი ა. ჩხენკელი, კონტეს დე მორგენა, ქ-ნი რატი-ევი, მისს მე-დ სმიტი, მარკიზი გალიფე, ინგლისის ყოფ. კომისარი საქართველოში სტოქსი, კონტ სკრიჟისკი, კონტ შასპლუ—ლობა, ბარონ დე ფრომენსბერგი და მრავალი სხვა.

საუცხოვო შთაბეჭდილება დასტოვა სტუმრებზედ ლეკურმა, რომლის მოწესრიგებაც იკისრა ჩოხაში გამოწყობილმა პრინც აშილ მიურატმა.

დიალაც საუცხოვო სანახავი იყვნენ ძველ ქართულ ტანთსაცმელში გამოწყობილნი, ქ-ნნი: დავრიშაშვილისა, პაპუაშვილისა და ჩხენკელისა გაჩნაძის ასული, რომელთა მოხდენილმა ცეკვამ აღტაცებაში მოიყვანა საზოგადოება და რამოდენიმეჯერ გაამეორებინეს.

დამსწრენი იმდენად კმაყოფილნი დარჩნენ, რომ მხოლოდ გათენებისას დაიშალნენ.

ვალდებულად ვრაცხთ ჩვენ თავს უღრმესი მადლობა გამოუცხადოთ ყველა მათ, რომელთა თანაგრძნობამ, შრომამ და მოქმედებამ ასე ჩინებულად ჩაატარა ეს საღამო.

დიდ მადლობას უძღვნით გ-ნ გრიგოლ ბერიძეს, რომელმაც დიდი დახმარება გაუწია ჩვენ საღამოს.

## შ ე ც დ ო მ ე ბ ი ს გ ა ს წ ო რ ე ბ ა.

მესამე გვერდის მესამე სვეტში მე-20 სტრიქონზე, სადაც დაწერილია: ჩვენში «მემარჯვენენი» უნდა იყოს «მემარცხენენი» უფრო გაძლიერდნენ.

ამავე სვეტის მე-10 სტრ. ბოლოდან: . . . რომელიც თეთრი გიორგიმ თვითონ დაისახა მიზნად: მორალური და მატერიალური ამაღლება მუშათა კლასის.

Le Gerant : Félix Kaldenbach    IMP. CAVALLIER, 98, RUE DE SÈVRES.